საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №166

1996 წლის 29 ოქტომბერი

ქ.თბილისი

წიაღით სარგებლობის ლიცენზიების სახელმწიფო რეგისტრაციის წესისა და წიაღით სარგებლობის ლიცენზიების სახელმწიფო რეესტრის ფორმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს კანონის „წიაღის შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად, **ვბრძანებ:**

დამტკიცდეს წიაღით სარგებლობის ლიცენზიების სახელმწიფო რეგისტრაციის წესი და წიაღით სარგებლობის ლიცენზიების სახელმწიფო რეესტრის ფორმა.

მინისტრი **ნ. ჩხობაძე**

წიაღით სარგებლობის ლიცენზიების სახელმწიფო რეგისტრაციის წესი

1. წიაღით სარგებლობის ლიცენზიების სახელმწიფო რეგისტრაციას აწარმოებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო”) წიაღის დაცვის სამმართველო (შემდგომში „ სამმართველო”) სპეციალურ წიგნში (რეესტრში), რომლის ფორმა შედგენილია „წიაღის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და დამტკიცებულია ბრძანებით ამ წესთან ერთად.

2. რეესტრი წარმოადგენს მკაცრი სახელმწიფო აღრიცხვის დოკუმენტს, მისი ფურცლები დანომრილი, ზონარგაყრილი და დალუქულია სამინისტროს გერბიანი ბეჭდის დასმით.

3. „წიაღის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ლიცენზია რეესტრში ტარდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამარჯვებული პრეტ ენდენტი გადაიხდის წიაღით სარგებლობის უფლების მოსაკრებლის 30%-ს მაინც იმ პირობით, რომ დარჩენილი 70% მოსაკრებელის გადახდა მოხდება არაუმეტეს ერთი წლის განმავლობაში.

4. ლიცენზიას მიენიჭება ნომერი გატარების რიგითობის შესაბამისად.

5. რეესტრში თითოეული ლიცენზია ტარდება ცალკე ფურცელზე, რომელშიც შეიტანება რეესტრის ფორმით გათვალისწინებული მონაცემები ცხრილის სახით და ამ მონაცემების ქვეშ ჩამოიწერება წიაღით სარგებლობის ის პირობები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ფორმით, როგორც საერთო მოთხოვნები და განისაზღვრება წიაღით სარგებლობის ლიცენზირების უწყებათაშორისო საბჭოს მიერ წიაღით სარგებლობის კონკრეტული შემთხვევისათვის.

6. სამინისტროს რეგიონალური სამსახურების მიერ გაცემული ლიცენზიების რეესტრში გატარება ხდება მხოლოდ სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკების მიერ მათი კანონთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ.

7. ლიცენზიებს სარეგისტრაციოდ წარადგენენ ის პასუხისმგებელი პირები, რომელთა მიერ მომზადებულია ლიცენზიები.

8. სალიცენზიო მასალებში უზუსტობის ან კანონთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ლიცენზიის შემდგენი პირები ვალდებულნი არიან ერთი კვირის ვადაში გააკეთონ სათანადო კორექტირება და ხელახლა წარადგინონ მასალები სარეგისტრაციოდ.

9. სამმართველო ვალდებულია ლიცენზიის რეგისტრაციიდან ერთი კვირის ვადაში მიაწოდოს ცნობა წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო ფონდს რეესტრში შეტანილი მონაცემებით.

10. წიაღით სარგებლობის ლიცენზიის სახელმწიფო რეგისტრაციიდან მოხსნა ხდება ლიცენზირების უწყებათაშორისო ექსპერტთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რის შესახებაც რეესტრში სარეგისტრაციო მონაცემებზე წითელი ტუშით კეთდება ჩანაწერი: „ მოხსნილია რეგისტრაციიდან ექსპერტთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სხდომის ოქმის ნომერი და თარიღი”.

წიაღით სარგებლობის ლიცენზიების სახელმწიფო რეესტრი

ლ ი ც ე ნ ზ ი ი ს	წიაღით სარგებლობის სახე და ობიექტის ადგილმდებარეობა	სამთო გეოლოგიური მინაკუთვნის ფართობი მოცულობა	სასარგებლო წიაღისეულის და კომპონენტების დასახელება, რომელთა მოპოვება გათვალისწინე -	სამთო მინაკუთვნში მოქცეული სასარგებლო წიაღისეულის მარაგები კომპონენტების მიხედვით

								ბ ულია სამთო მინაკუთვნის ფარგლებში. გეოლოგიურ სამუშაოთა სახეები	
სარეე-სტრო N	სერია	ტი-პი	რეგისტრაციის თარიღი	ვისზე გაიცა ლიცენზია და მონაცემები მის შესახებ (რეგ.ადგილი, მისამართი და სხვა)	გაცემაზე საექსპერტო საბჭოს გადაწყვე-ტილების ოქმის N და თარიღი				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

ლიცენზია გაცემულია გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტროს ----------

---------- მიერ

გადასახსნელი ქანების მოცულობა და გადახსნის კოეფიციენტი	მიწათსარგე-ბლობის საკითხები (რა ფართობი აქვს გამოყოფილი და ვის მიერ, ან მიწათმფლო ბელის წინასწარი თანხმობა N, თარიღი)	ლიცენზიით გათვალის-წინებული საქმიანობის ვადა		წიაღით სარგებლობის პირობები				
		დაწყების	შეწყვეტის	წიაღით-სარგებლო-ბაში ჩართული პარტნიო-რების დასახელება	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ნორმები წლების მიხედვით		მოპოვებული წიაღისეულის პროდუქციის სახეობათა გამოშვების ნორმები წლების მიხედვით	წიაღით სარგებლო-ბის გადასახადის ოდენობა გამოსაშვები პროდუქციის ჯამური საბაზრო ღირებ. %
					მინი-მალური	მაქსი-მალუ რი		
11	12	13	14	15	16	17	18	19

ლიცენზია რეესტრში გატარებულია

რეესტრში გამტარებლის სახელი და გვარი

ლიცენზია მივიღე და ვკისრულობ შევასრულო პირობები

ლიცენზიის მიმღები იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმოწერა
ხელმოწერა